საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვერდისუბანი

გვერდისუბანი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თორის ქვაბულში, გვირგვინას ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სოფლის თემის ცენტრი (სოფლები: გ., ვარდევანი, მაჭარწყალი, ღვთისმშობელი, წინუბანი). ზ. დ. 1520 მ, ბორჯომიდან 31 კმ. ამჟამად მუდმივი მოსახლე არ არის.

ვახუშტი ბატონიშვილი სოფელს ამ სახელით არ იცნობს, ჩანს იგი ახ. სახელია. სოფლის განაპირას, ჩრდ.-დას-ით, ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიაა (ძლიერ დაზიანებული). ძეგლი ნაგებია უხეშად გათლილი დიდი ზომის რუხი ქვებითა და კირხსნარით. ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. მორთულობის ხასიათითა და სტილისტიკური ნიშნებით VIII–X სს-ში ექცევა.

ლიტ.: გუჯარეთი, თბ., 1987.